მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს ,, სამოქალაქო მრჩეველთა ''- ს საბჭოს ოქმი N 1

ქ. მარნეული

13.11.2023 წელი

სხდომას ხელმძღვანელობდა - საბჭოს თავმჯდომარე - ახლიმან ბაბაქიშიევი
თავმჯდომარის მოადილე - ლელა მულაძე
სხდომის მდივანი - ანარ გუსეინოვი
საბჭოს წევრები:
შალალა ამირჯანოვა

ამაიკ საიდიანი

არტურ აკოფიანი

მურად მაისურაძე

იულია დარბაიძე

სოფიო ჭკადუა - ხარაიძე

ესწრებოდნენ:

1. მუნიციპალიტეტის მერიის ადმინსიტრაციული სამსხაურის პირველადი სტრუქტურული ერტეულისხ ელმძრვანელი - მამუკა შუბითიძე
2. მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტისა დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ლარისა გელაშვილი

დღის წერიგი

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2024 წლი ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

მოისმინეს: საბჭო გახსნა და ახალი საბჭოს შემადგენლობა წარადგინა ბატონმა მამუკა შუბითიძემ, რომელმაც განუმარტა საბჭოს წევრებს მათი უფლებამოსლიებები, საჭიროება და ურთიერთთანამშრომლობის ვალდებულება, როგორც მოსახლეობასთან ასევე მუნიციპალიტეტის თვითმმართველობასთან, რათა ზუსტად იქნას მიწოდებული და ასახული ყველა ის პრიორიტეტული და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიმართულებები, რომელიც ესაჭიროება მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

პრიორიტეტები:

1.ინფრასტრუქტურის განვითრება - 14817,5 ათ ლარი -26.8%

2.დასუფთავება და გარემოს დაცვა - 3275,0 ათ ლარი -6.9 %

განათლება - 4922,0 ათ ლარი - 8,9%

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა- 11235,5 ათ ლარი -20.3%

ჯანმრთელობის დაცვა - 313,3 ათლარი - 0.6%

სოციალური უზრუნველყოფა - 2703,0 ათ ლარი -4,9%

მმართველობა და საერთო დანიშ. ხარჯი -17485,9 ათ ლარი -31.6%

ქალბატონმა ლარისა გელაშვილმა სხდომაზე წარმოადგინა და დეტალურად განმარტა მარნეულის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი, რაც წინა წლებთან შედარებით გაზრდილია და დაახლოებით იქნება 55 მლნ 275,4 ათასი ლარი. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ბიუჯეტის ძირითად პრიორიტეტებზე და პროექტით განსაზღვრული ინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე, რომლის მიხედვითაც წინა წლებში და ასევე მიმდინარედ განხორციელდა სხვადასხვა ინფრასრტრუქტურული პროექტი. ქალბატონმა ლარისა გელაშვილმა დეტალურად ისაუბრა ბიუეჯტის როგორც საშემოსავლო ისე ხარჯვით ნაწილზე, პუნქტობრივად წარმოადგინა ბიუჯეტის ყველა ძირითადი მაჩვენებელი.

მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ბიუჯეტში სოციალური ფონდის ოდენობა, რაც გულისხმობს განსაკუთრებულ ყურადღებას და ზრუნვას მერიის ხრიდან მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი თუ დახმარების საჭიროების მქონე მოსახმლეობაზე.

აზრი გამოთქვა : ალიხან ბაბაქიშიევმა, იულია დაბრაიძემ, სოფიო ჭკადუა - ხარაიძემ და ტოფიკ ახპეროვმა, სადაც ყურადღება გაამახვილეს ბიუჯეტის სოციალური და ინფრასტრუქტურული მიმართულებით არსებული ფინანსური სახსრების ოდენობზე, მოსახლეობისათვის სერვისის გაუმჯობესების საკითხებზე, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულში დარჩენილი გზების მოპირკეთების სამუშაოებზე, მოსასვენებელი სკვერების პარკირებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების აღმშენებლობის მიმართულებით პრობლემების მოგვარებაზე. საერთო ჯამში მოსასხლეობის ყოფითი პირობების გაუმჯობესებაზე.

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებით - საბჭომ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ 2024 წლის მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტს და განმარტა, რომ აღნიშნული ბიუჯეტის პროექტის არსებული რედაქცია მოწონებულია.

სხდომის თავმჯდომარე - ახლიმან ბაბაქიშიევი

მდივანი - ანარ გუსეინოვი

წევრები:

შალალა ამირჯანოვა

ამაიკ საიდიანი

არტურ აკოფიანი

მურად მაისურაძე

იულია დარბაიძე

სოფიო ჭკადუა - ხარაიძე

ლელა მუმლაძე